თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის

ერთი მხრივ, საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნოდარ ხადურის სახით, და მეორე მხრივ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - ვახტანგ აბაშიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის VI თავისა და კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი);

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეებმა, თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, ამ მემორანდუმის შესაბამისად, უნდა გააძლიერონ თანამშრომლობა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურად წარმართვისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების მიზნით.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ შემდეგი ფორმების საშუალებით:

ა) კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლის/დახვეწის თაობაზე წინადადებების ერთობლივად განხილვა და ანალიზი;

ბ) ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად კომუნიკაციების სფეროში გამოვლენილ კონკურენციის წესების დარღვევასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარება;

გ) სააგენტოს და კომისიის თანამშრომლებით დაკომპლექტებული ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლა;

დ) კომისიის მოთხოვნით, სააგენტოს მიერ საექსპერტო მოსაზრებების გაზიარება კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე;

ე) კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ერთობლივი შემუშავება;

ვ) მხარეთა ექსპერტებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

ზ) მაღალი რანგის შეხვედრების/ვიზიტების ორგანიზება ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივებისა და მიმართულებების განხილვისათვის;

თ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა; ასევე, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება;

ი) მხარეთა მიერ გამოქვეყნებული არაკონფიდენციალური დოკუმენტების, კვლევების, წიგნების და ა.შ., გაცვლა;

კ) თანამშრომლობის სხვა ფორმები, შეთანხმებული მხარეთა მიერ.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმატი

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას.

2. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში შექმნილი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდება თანამშრომლობის პროცედურული ნაწილის შესახებ პროტოკოლის გაწერა, კომპეტენციების განსაზღვრა/გადანაწილება, რეკომენდაციების, სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება და სხვ.

3. ინფორმაციის გაცვლა მოხდება წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

4. კონკრეტული ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური ასპექტები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4. ძალაში შესვლა და ხანგრძლივობა

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

2. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, მემორანდუმის მოქმედების ვადის შეწყვეტამდე სულ მცირე სამი თვით ადრე.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ერთობლივი წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

2. მემორანდუმში ცვლილებები ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

3. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტა

1. მემორანდუმის მოქმედებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

2. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2017 წლის 8 თებერვალს, ქ. თბილისში, ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სახელით	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახელით**
ნოდარ ხადური	**ვახტანგ აბაშიძე**
თავმჯდომარე	**თავმჯდომარე**